

572

1970

# ՀԱՅԿ

ՀԱՅԿԱՅԻՆ  
ՆՈՒՆՈՒՄԵՐ

1970 ՕՅԵՆՆՈ N6





მ ი ჯ ა — ნახატი ქეთინო გველესიანისა, 6 წ. კვიბროსი.



ვ ა შ ლ ი ს ზ ე — ნახატი <sup>KP</sup> ლია იმნაძისა, 6 წ. თბილისი.



გ ე მ ი — ნახატი ალექსი შიდელაურისა, 6 წ. მცხეთის რაიონი, სოფ. ნატახტარი.

ეროვნული  
 ბავშვებო, ამ ნახაზებით შექმნი თანაგოლები გილოცავენ ბავშვთა სპარტაპორის დასვინლას.



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო — ნახატი შალვა იაშვილისა, 10 წ. ვანის რაიონი, სოფელი შუაგორა.



ც ხ ე ნ ე ბ ი — ნახატი მალხაზ ანდლუაძისა, 4 წ. ბათუმი.



მხედარი—ნახატი თამარიკო კელიძისა, 7 წ. რუსთავი.



ჩემი ეზო—ნახატი შათიკო შამალაძისა, 5 წ. თბილისი.



წეროები—ნახატი ნინო გიორგაძისა, 9 წ. თბილისი.



გოგონა ცხენზე—ნახატი მედეა ალაშვილისა, 7 წ. სავარჯულოს ტაიონი, სოფ. ყანდაურა.



პეიზაჟი—ნახატი მანანა დავითაიასი, 8 წ. გულრიფში.



მერცხლები—ნახატი მამუკა შურმანიშვილისა, 8 წ. თბილისი.

# კონიკა ქვილა

მინი პიონაჲ

მამამ ბაღში ხე მონახა  
შრიალ-შრიალ-შრიალა.  
ტოტხე კონკა საქანელა  
ჩამოაკონწილა.  
ციუჟუბივით შემოსკუზდნეს  
სეღ თასო და ციალა,  
თან სიმღერა შემოსძახეს  
წკრია-წკრიალ-წკრიალა.  
კენწეროზე ჩიტო იჯდა,  
შეერთა, შეიფრთხილდა;  
აქანაჯდა საქანელა —  
კონწილა-ქრიალა.

შეერთო გუდიც შეფრთხილდა,  
მარტო ჩიტო კი არა;  
აქანაჯდა საქანელა —  
კონწილა-ქრიალა,  
უცებ იმ ხეს ვაშლი მოწუდა  
სუელ ცეცხლივით ბრიალა,  
ატრიალდა, დატრიალდა,  
ანჯურ შეიბრიალა.

— ვაშლი! ვაშლი! — უვირის თასო,  
— ვაშლი! — უვირის ციალაც.  
მირს ჩამოსტნენ ორივენი —  
კოტრიალა — ტრიალა,  
ხეს კი შერჩა ცარიელი  
კონწილა — ქრიალა.

ნახატო გიორგი კონიხვილია



# კენჭი

მალვა შარაშიძე      შატო შარბე შორაჩხიძის

ნიკო ეზოში დონეშემოყრილი იდგა და იმაზე ფიქრობდა, რა ოინი მოვიგონო.

აივანზე პაპა იჯდა და თვლემდა.

ნიკოს გაელიმა. კენჭი აიღო და სახურავზე შეავდო. მთვლემარე პაპა გამოფხიზლდა და ეზოს მოავლო თვალი.

ამ ამბავმა ძალზე გაამხიარულა ნიკო, ეზოში კაი კაცივით გაიარ-გამოიარა, ვითომდა არაფერიო. მერე ისევ აიღო კენჭი და სახურავზე შეავდო.

— კაკ!—გაიხმაურა კენჭმა და მერე რაკ-რაკით ჩამოვორდა.

— რა ამბავია?!—იკითხა შეშინებულმა პაპამ.

ნიკო სიცილს ვერ იკავებდა, მაგრამ ვიდრე პაპა ხელახლა ჩათვლემდა, ეზოში ისევ კაი კაცივით გაიარ-გამოიარა.

პაპას ჩათვლიმა.

— კაკ!—ისევ გაისმა სახურავზე კენჭის დაცემის ხმა და შეშინებულმა პაპამაც გაახილა თვალი.

— რაკ-რაკ-რაკ-რაკ—ხმაურით წამოვიდა სახურავზე კენჭი და... ნიკოს თავზე მოადინა რახვანი.



## ცხვირი ვალა ვის ვიაქვს?

მამა და შვილი მომწიფებულ ენა-სეღ მიდიოდნენ. შვილმა ჰკითხა:


— მაძილო, ეს რისგან არის, ზოგი თავთავი მირს არის დაშუებული, ზოგი კი მადლა აშუერილიო?

მამამ უთხრა:

— რომელი თავთავებიც სავსეა მარცვლებითა, ისინი თავდაღუნული არიან და ცარიელი ფშუტა თავთავები კი ვალებსე დგანანო!

(ი. გოგებაშვილის „ღეღეინიდან“)





გიორგი შატბერაშვილი  
(1910—1965)

გიორგი შატბერაშვილი ცნობილი ქართველი მწერალია. აბა, ვის არ მოგეწონებთ მისი მოთხრობები: „ბუტიას კერძი ტკბილია“, „ჩხირკედელი“, „მტკვრის სათავისაკენ“, „სათაფლია“...

ძია გიორგი კეთილი და მართალი კაცი იყო, დიდებული მოსაუბრე და მესიტყვე. მას უზომოდ უყვარდა საქართველო, ქართველი ხალხი და ქართული ენა.

გიორგი შატბერაშვილი ჩვენი ვურნალის უახლოესი მეგობარი იყო. „დილაში“ მისი ბევრი კარგი მოთხრობა, ლექსი და პიესა გამოქვეყნებულა.

ვბეჭდავთ მის ერთ-ერთ მოთხრობას.

## ვანოე ქორი გადაყლაპა

ნახატები ლამარა ლანელიანი

დღედა პელაგია მუდამ უკან დასდევდა ვზოში სათამაშოდ გამოსულ ვანიკოს და თვალს არ აშორებდა.

— ვანიკო, ჩრდილში დადექი, თორემ თავში მზე ჩაივარდება!

ვანიკოს უკვირს, როგორ უნდა ჩაუვარდეს ამოდენა მზე თავში... რატომ ბონდოს არ უვარდება, თუ ეს მართალია! ბონდო ხომ დილიდან საღამომდე მზვარეში დარბის და თამაშობს რამაზთან ერთად.

— ვანიკო, ფესსაცმელი ნუ გაიხადე, ეკალი შეგერტობა და ინფექცია შეგებარება.

— ინფექცია რაღაა, დეიდა? — ხმადაბლა კითხულობს ვანიკო.

— ვანიკო, საუზმის წინ წყალს ნუ დალევ!

— ვანიკო... ვანიკო... ვანიკო... — ისმის პელაგიას ძახილი დილიდან საღამომდე, თითქოს ვზოში ათი ვანიკო თამაშობდეს, ზრთი



კი არა. მაგრამ ვანიკოს ნამდვილი გასაკვირი შუადღე რომ მოახლოვდება, მაშინ იწყება.

— ვანიკო, არა გშია?

— არა...

— ეზბო-კვერცხი გინდა, თუ ყიყლიყო?

— არც ერთი... ბონდოსთან მინდა.

\* — კარაქიან-თაფლიანი პური გინდა?

ვანიკოს კარგი მადა აქვს, თაფლსაც მიირთმევს, კარაქსაც, არც ყიყლიყო ეჯავრება, მაგრამ შეაწუხა დეიდა პელაგიას ზრუნვამ. პურის უზარმაზარ ყუას წვრილწვრილად დასჭრის, ჯერ კარაქს წაუსვამს, ბარაქიანად წაუსვამს, მერე თაფლს წააგლესავს სათითაოდ ყველა ნაჭერს და მაგიდაზე დამწყობებს.

— ვანიკო, შეგხდევ, აი, ეს მატარებელი ბათუმიდან მოდის...

— სად არის მატარებელი? — ბუზღუნებს ვანიკო.

— აი, ეს პურის ნაჭრები ვაგონებია, მატარებელი ნად კი მატარებელია. ეს დიდი ნაჭერი ელექტრომაველია... ბათუმიდან მოდის.

— მერე, მერე, მგზავრები სადლა არიან?

— სატვირთო მატარებელია, შვილო, სურსათი მოაქვს.

— სურსათი რა არის, დეიდა?

— სურსათი საქმელია, ბიჭო, არ იცი... საუზმე.

— მერე? — გკითხება ვანიკო.

— აი, ახლა მატარებელმა გვირებს მოაკივლა...

— გვირები რა არის, დეიდა?

— მოაკივლა და იძახის: ტუუ! ტუუ! გვირები შენი პირია. ვალე გვირები, ბიჭო!

ვანიკო პირს ადებს. შედის და შედის ევგონები გვირებში. გრიალით, კივილით მიჰქრინს ვაგონები, იესება გვირები, მეტი ადგილი აღარ არის.

— რას შვრები, ბიჭო?

— აღარ მინდა... გვირები დაიხურა, — ამბობს ვანიკო და ცრემლებს ძლივს იკავებს.

\* \* \*

სადილისათვის დეიდა აღრევე შეუდგა სამზადისს. ილიმ-ბოლა, ხისქვეშ გაშლილ მაგიდაზე პურს პატარა ნაჭრებად სჭრიდა, კარაქსა და თაფლს უსვამდა. აი, ორი მოზრდილი ნაჭერიც ჩამოაჭრა. ვანიკო ცალი თვალით უყურებდა შორიდან.

— ვანიკო, მოდი აქ! აი, ეს ჩვენი ეზოა.

ვანიკო უზალისოდ ადევნებს თვალს დეიდა პელაგიას თითს, რომელიც დაბალ მაგიდაზე დაკურავს.

— ეს ბალახია... ეს ჩვენი წიწილეებია. ხომ გიყვარს ჩვენი წიწილეები? — დეიდას თითი პურის წვრილ ნაჭრებთან ტრიალებს. — ეს კი ჩვენი კრელი კრუხია.

ნამდვილი კრუხი ვარდის ბუჩქისქვეშ შებუდებულია, წიწილეები ფრთებქვეშ ამოუხხამს და თვალებს ნაბავს.

— ჰოლა, დაღის ჩვენი კრუხი ეზოში არხეინად...

ეს თამაში კი მოსწონს ვანიკოს, გულით უნდა მიხედვს, რა მოხდება შემდეგ.





იძახიან და ვანიკოს პირში ათარებენ.

— იყოს კრუხი ეზოში,—გმულადრება ვანიკო დეიდას,—კრუხი დიღია, ბრაზიანი, ქორი ვერაფერს დააკლებს.

— არა, უდევლოდ წიწილებს შეეშინდებათ, მოშივთ. აბა, ჰე!

ვანიკომ კრუხიც გადაარჩინა, არ უნდა დეიდას აწყენინოს. მაგრამ დეიდა მაინც თავს არ ანებებს.

— ვანიკო, ახლა თუ იცი, რას იზამს ქორი?

— ქორი? ქორი მთაში გაფრინდება.

— არა, არა გცოდნია. საბუღარში შეგპყვება კრუხ-წიწილას.

— არა, დეიდა, ნუ შევეუშვებთ, წიწილებს შესანსლავს.

ვანიკო გადარჩა, ერთი მოზრდილი ნაქერი აიცილა. მაგრამ ხვალ რაღა ქნას. ღამე მოუსვენრად ფიქნა, დილით კი, როცა საუზმეზე დაუძახეს, თქვა:

— აღარ მინდა კრუხ-წიწილობანას თამაში. ისე ვკამ...

— ვანიკო, იცოდე, დედას მივეწერ და ქალაქში წავიყვანს.

— არ მინდა...

— აი, შეგხედე, რა კარგი ქორია.

ვანიკომ ქორს დახედა სამი-ოთხი დიდი ლუქმა მაინც გამოევა. ღამაზად გაუთლია დეიდას პური, კარაქი კოხტად წაუსვამს, ნამდვილი ქორისათვის დაუმსვავსებია, ფრთები ასაფრენად აქვს მომზადებული.

— დავიწყეთ?—ჰკითხა დეიდამ.

ვანიკომ უცებ დასტაცა ხელი ქორს და პირისაკენ წაიღო.

— მოიცა, შეგეშალა, ეგ ხომ ქორია,—უთხრა ღიმილით დეიდამ.

ვანიკომ არაფერი უპასუხა მოკბიჩა. ერთი, ორი, სამი ლუქმა გამოვიდა. შეჰკამა და დეიდას თვალებში შეხვდა.

— ეგ რა ჰქენი, ბიჭო, ქორი გადაყლაპე?

— ჰო, დეიდა... ქორი საძაგელი ფრინველია, საძაგელი. დავამწყვდიე...

— მერე? წიწილები, კრუხი? ამ წიწილკრუხს რა ვუყუ?

— არაფერი,—უპასუხა ღიმილით ვანიკომ,—ითამაშონ ეზოში.

— მერე?  
— აი, ეს ნაქერი ონავარი ქორია. ხედავ? როგორ დასტრიალებს ჩვენს წიწილებს?!—დეიდა ხელში აქანავებს მოზრდილ პურის ნაქერს.

— მერე?—ღიმიება ვანიკო.  
— წიწილები უნდა გადავარჩინოთ, თორემ ამ ზაფხულს ჩიჩია არ გვქენება... ჰაუ, ჰაუ, ქორა!

— როგორ გადავარჩინოთ, დეიდა?  
— საბუღარში უნდა დავმალოთ! აბა, ჰე, ჩქარა!

ვანიკო პირს უნებურად აღებს. ქორისაგან დაფეთებული წიწილები წიავ-წიავს



# ელისოს ლემსი

ბაჩილ ჟანაჩია

— ჩურჩხელა და ჩირი  
კიდევ მომე, ბაბუ!  
— აღარა მაქვს, ბაბუ,  
გამითავდა, ფაფუ!



ქართული  
2020-2021



# კენგურუ

მოგვაქციეთ ყურადღება,  
ჩვენს ცოდვაში ნუ ჩადგებით:  
მეტი აღარ შეგვიძლია,  
შეგვიკერეთ ზურგჩანთები.

# ქრომანი ხეობეულიძენი

## საქართველოს

ბილიის ხმარია, თნთვი კიდობერს მხილზე ჰყს  
 შიხრული სოველი მხიბა, მხისი წლის წინა ამ სოველ-  
 ზი ცხოვრობა მოხუცი ხრეველი, რომელიც სამოსელზე  
 ლი იყო ზეო ქილიორს და რომელსაც ცნა ვაჟი ჰყდა.  
 მამ ამ ცნა ვაჟის იყო ერთეული სოველი იყოთი ქვერის  
 და შერეული მძებლიყოლი, ფილირე მს ჰყდა ვიღაც  
 ღირსული ქართველი მხილითხნი, ამს კათი ცნა მხნი  
 ერთმთხიზე ვეჯიო ვაჟის და მძებლიყოლი ღიღინ.

ამხივ მხარეთი ჰყობა მამამს, მტრე  
 მხინა ჰყობა, მს ჰყდა მხიელი ვანი,  
 კწკრითი და კბიცილი ღიღინობა  
 ში, მამამს ღიღინობა ბერი ჰყდა  
 და ბილიის მხარეთილი ჰყო-  
 ილა, ქართველი ვანი მს ვ-  
 დილისა ესე ბილიის ქე-  
 ვია, მამისე ხმარიათი  
 იღვი ხმარია მხილია,  
 მნი ღვი კხიველითი  
 ხიხილი ჰყველითი ნ-  
 ვივ დათა, თხე  
 მხარეული ვილითი  
 ჰყენი თხე, მხინამ  
 ში მნი ღვი კ-  
 მხილითი ქართველ  
 ვანი თხი ვნი მთ-  
 ვილითი რიგინი  
 ქართველი ჰყობენი  
 თხე მხარეთილი იმ-




## საქართველოს

ბილიის ხმარიათი მხილითი, მხილითი ვეჯიობა-  
 სი და მხარე თხილითი მხინამს ცნა მხნი ხრეველითი, რომელიც ვილი-  
 შიხრულითი კხილითი ჰყენს ში ინი ვანი თხინი მხარეთილი ვეჯიობა ინი  
 ვანიზე ქვერისზე ჰყენი ჰყენს, მხინამ მთიხი ღვი მხარეთილითი მხილი ვანი  
 ჰყველი და ღიღინობა-ღიღინობა ქართველი ღიღინობა ვანი მხარე მტერი.

ამ ხმარიათი წის ღვი მხნი ხრეველითი ინივ თუ ინი მხარეთი,  
 ინივ ღვიღინობა კიღინობა და ვანი მძებლიყოლი თხილითი  
 ამხინამ, ში კიღინობა მხინამ ინი კიღინობა, ინი  
 მხილითი ვეჯიო ღვიღინობა-ღიღინობა ვეჯიო, და რიგინი  
 ქართველი ვანი ვნი კიღინობა, თხილითი მხ-  
 ნი ვილითი მხარეთი ჰყენი მხარეთი ჰყენს და ი-  
 ვანი კხარელი სული ღვიღინობა მხილითი ვე-  
 ჯი მხარეთილითი მთი ღვიღინობა მთი ღვიღინობა  
 ღვიღინობა თუ, მხარეთილი ში და  
 რიგინი მს მს ვანი, სხილითი  
 ღვიღინობა ქართველი  
 ღვიღინობა სულითი კიღინობა  
 ღვიღინობა მთი ღვიღინობა და ი-  
 ვანი მთი მთი მხარეთი  
 სული.

მხარეთილი ქართველი  
 მს ეს ცნა მს ინივ  
 მხარეთილი ვეჯიო მხარეთი  
 შინის, თხილითი ღვი  
 მხარეთილითი მხარეთი  
 ვანი მხარეთი და ღვი-  
 ვანი ცნა ღვი სულითი  
 ში, რომელიც ღვიღინობა  
 ინი.



## სკიღო ის სიყვი

### მიხეილ შიღლალი

ციყუნია მ გაღირბინა  
სპილოს სამფლობელოზე,  
სპილო სადილს შირთმევედა  
ღელის პირას, მდელიოზე.  
ციყუნია დაინახა  
გულით შიიპაკიჟა,  
ესაუბრა, უმასპინძლა  
ანანასით, პანტითა.  
ციყუნისა გაუხარდა:  
— ძმობილი მჟავს ვეება,  
რალა მიჰირს ამის შემდეგ,  
თუნდაც ფოცხვერს შეეება.  
ერთხელ უნდა დავპაკიჟო,  
გამოვადლო თხილითა,

### ნახატი ზურაბ შორაჩხიძისა

ერთი უნდა გავაოცო  
ჩვენებური ლხინითა.  
პაკიგი მცა,—პაკიგას ვცემ,  
ხშირად ერთად ვქნებით,—  
მიიწვია ციყვმა სპილო  
შვილით, შვილიშვილებით.  
დიდ სუფრაზე დაალაგა  
რაც იმ ზაფხულს იშოვა,—  
თხილი, სოკო, მზესუმზირა,  
არ შევრცხვეო,—შიშობდა.  
სპილოსა და სპილოს ოჯახს  
ეს საუშე ეგონათ,  
თხილიც, სოკოც როცა ჩანთქეს,  
ასე უთხრეს მეგობარს:

— სადილს ალბათ მალე გვაქმევ,  
მაღა უკვე გავგეხსნა...—  
ციყუნისა სიმწრისაგან  
ღამის თაბრუ დაესხა.  
დატრიალდა მეზობლებში  
ისეხსა და იყიდა,  
სპილოც პირში ციყვის ნაშოგენს  
იყრიდა და იყრიდა.  
შეაჭამა ციყვმა სტუმრებს  
სარჩო-საბადებელი,  
გამოაძლო ზორბა სპილო,  
დანაყრა მხლებელნიც...  
ციყვმა სპილო ამხანაგად  
მანც ვერ გაიხადა,  
მეზობლებში ნასესხები  
ცხრა წელიწადს იხადა!

# სისარტყელა

რეკონსტრუქციის

ნახატები ლიმიტირებული

ნაშუადღევს ცა უტყდად მოიღრუბლა. ალაგ-ალაგ დროულგებმა შავი ჩუპეები ჩამოუშვეს, ჯერ შორიდან ისმოდა ყრუ გრუხუნის, მერე ზედ შუა ცაშიც გაიკლანა ვლვა და დაიქექა.

სქელი, მუცელდამძიმებული მამალი მარჯვნივ სოროსკენ მიმავალ ბილიკს მიჰყვებოდა. თუმცა მიხვდა, ცის ქუხილი იყო, თავი მაინც ძირს დასწია, ყბები მიწას დაადო, ცოტა ხანს ასე იყო, გაფართოებული, მერე თავი ოდნავ გვერდზე გადასწია, ცას ცალი თვალით ახედა და გაიქცა. ის იყო სოროსში დინგი შეყო და ერთხელაც დაიქექა. მარჯვნივ მხრები აიწურა და ერთი ნახტომით შევარდა. შიგნით. აქ გაჩერდა, ხმაურს ყური მიუგდო. წვიმის ბრტყელი წვეთები ძირხვევისა და კულმუხოს ფოთლებზე ატყაპუნდა, ჯერ კანტიკუნტად, გამორჩევით, მერე ხშირად და უფრო ხშირად. მომდევნო ქუხილი მცხრალი იყო, როგორღაც თავშეკავებული. მარჯვნივ წამოიწია, მიხლართ-მოხლართ თული ლაბირინთი გაიარა და მრგვალ დარბაზში შევიდა. დარბაზის ერთ კუნძულში რბილ ბალახებზე დგდა მარჯვნივ იწეა და ერთმანეთზე ახორბლილ ლეკვებს ძუძუს აწეებდა. მამალი მარჯვნივ ახლოს მივიდა, დახედა, როგორ იყვნენ.— დიდი წვიმა მოდისო,— დგდა მარჯვნივ დაღლილი, არაფრისმეტყველი თვალებით გადმოხედა. მამალმა მარჯვნივ დარბაზს შეწოლუარა, და-



კუნტად, ყურის ძირი მოიფხანა და მერე ისევ გასასვლელისკენ წავიდა.

გარეთ უკვე გაბმით, თანაბარი ხმაურით წვიმდა. მსხვილი, კრიალა წვეთები ალმატყრა ხაზებდად მოჰქროდნენ მიწისაკენ, ეცემოდნენ ბუჩქებსა და ბალახებს, ერთ ხანს იმათ კიდებზე ჩამოკიდებულნი ცახცახებდნენ, შემდეგ იქიდანაც წყდებოდნენ და ბალახის ძირებში იკარგებოდნენ. ახლა იშვიათად კუხდა, ისიც— შორს, მაგრამ მარჯვნივ მაინც შიშამდგარი თვალებით იყურებოდა სოროს სიბნელიდან.





იშხაპუნა წვიმამ, იშხაპუნა და იკლო. ჩამობნელეებულ ქალას შუქი რომ დააღდა, მაჩემა გაბნედა და გარეთ გამოვიდა, ჰაერზე. აქაც სიმშრალე იყო. რადგან სორო ვეება მუხის

სამალავიდან გამოძვრნენ და აკუქუქუნდნენ. ბილიკზე ორი დიდი ლოკოკინა გამოსჩამაქმდა და, მთელ სიმაღლეზე აგვიმათ ვერცხლისფერი ისცეცები და ფრთხილად სინჯავდნენ



ფესვებში ჰქონდა გათხრილი. ეს მუხა ცოტა გადმოხრილიყო და წვიმის წვეთებს სოროდან გამოყრილი მიწის გროვამდე არ უშვებდა. მაჩეი იმ მიწის გროვას გადააღდა და ახლა იქიდან დაუწყაო თვალთვალი მიდამოს. ქალა სულ უფრო და უფრო განათდა. წვიმამ მდინარის იქით, გრძლადგაწოლილი უტყვეო სერის ძირას გადაინაცვლა და ცოტა ხანში მოხდა ის, რასაც მაჩეაც ეწოდდა: სამხრეთიდან ბრტყელი ლამაზი ცისარტყელა დაიძრა, აიწია მაღლა, აიწია და სწორი, მკვრივად შეკრული თალი გადახაზა. სულ მალე მეორე ცისარტყელაც ამოიზარდა, მაგრამ იმან თალის შეეკრა ვერ შეძლო, შუა ცამდე ძლივს მიაღწია და იქ გაჩერდა. იმ ცისარტყელების უკან, მტუტისფერ სიღრმეში, ისევ ქუნდა, მაგრამ იმ ქუხილს უკვე აღარავინ არაფრად აგდებდა, ყოველი წვეთი მშვიდად, ჩაუქუენებით ბრწყინავდა, ჩიტები

ჰაერს. მაჩემაც გული დაიარხინა, უკანა ფეხებზე ჩატუტქდა და მედიდური გამომეტყველება მიიღო. ჰქონდა კიდევ ამ მედიდურობის საფუძველი: იმ არემარეზე ის ყველაზე თადარიგან სულდგმულად ითვლებოდა, თადარიგან და დინჯ, მაშასადამე, ბრძენ სულდგმულად. ჯერ მარტო სორო როგორი ჰქონდა! ღრმად წასული, მიხლართულ-მიხლართულლაბირინთიანი, სართულთლოვანი და დიდებულად მომტკიცულდარბაზოვანი! უცებ ზემოდან, ვენახების მხრიდან, კურდღელმა ჩამოირბინა. მაჩემ ის პირველად ვერ იცნო და შეკრთა, სოროსკენ დაიხია. მის ფაჩიფუნზე კურდღელიც შეჩერდა და დაფეთებით დაახამამა მრგვალი, მარლი თვალეზი. როცა ერთმანეთი დაინახეს, დამშვიდდნენ. მაჩემა თავი ისევ მედიდურად დაიჭირა და კურდღელს ვითომცდა ძალიან გულგრილად ჰკითხა:



— საღ მირბიხარ, რა მოხდა?  
კურდღელმა თავი ცისარტყელისკენ გაიქ-  
ნია:

— ცისარტყელა!  
— მერე?  
— რა მერე, ცისარტყელა!  
— მერე რომ ცისარტყელაა?  
კურდღელმა უმწეოდ ააცმა ცუნა ტუჩები,  
აქეთ-იქით მიმოიხედა, თთქოს დამზარეს  
გებდა.

— ახლოდან უნდა ენახო.  
მაჩემა გამჭირდავად შეიკუმუნა ღინგი.  
— შენ გინახავს?— გაუკვირდა კურდღელს.  
— რა აქვს სანახავი, სულელლო.  
— ლამაზია.

მაჩემა კიდევ უფრო მედიდური სახე მიი-  
ლო და თავისთვის ჩაიჭირკილა:

— წადი, წადი არავინ მიგასწორს.  
კურდღელი უხერხულობას გრძობდა, მაგ-  
რამ მაინც გაიქცა. დაურიდებლად გადაახტა  
ბილიკზე მოსივრინე ლოკოკინებს და ბუჩქებს  
მიეფარა. შეშინებული ლოკოკინები მოიბ-  
ღუნდნენ, მერე ნელ-ნელა ამოსწიეს საცეცე-  
ბი, ერთმანეთის წინ აყვლყვლავდნენ და  
ქირადვით თქვეს:

— ფიჰ, უზრდელი!  
მიდამო კი ბრწყინდებოდა და ბრწყინდე-  
ბოდა. უკვირდნენ წიწკანები, ჩიტბატონე-  
ბი. იძახდნენ მოლაღურები. გამოხტა თით-  
ქოსდა სიხარულით ათახთახებული კინკრა-  
ქაც.

და უცებ:  
— ბახხ!

ცისარტყელის თაღქვეშ, ნარინჯისფერად  
განათებული ჩოქელა ვერხვების თაღქვეშა  
ტარა თეთრი კვამლი ავარდა, ცისარტყელა  
ლივლივდა ქვევით-ქვევით და გაიშალა. მაჩე-  
მა სოროსკენ დაიხია. საშინელი სიჩუმე ჩა-  
მოვარდა. ასე გვეგონებოდათ, წვიმის წვეთებიც  
კი გაშეშდნენ. მერე სივსივით ამოფრინდნენ  
ტყის ქათმები და ფრთების აჩქარებული ქნე-  
ვით წამოვიდნენ მაჩვისკენ.

— რა მოხდა, რა?— ჰკითხა მაჩემა.  
— კურდღელი მოჰკლეს, კურდღელი!  
— ჰიუ!— ამოიძახა კმაყოფილებით მაჩემა,  
— დატეულიყო თავის აღგილას, საღ მირბოდა?  
მაგრამ თან შიშიც იგრძნო, სიფრთხილეს  
თავი არა სტკივავო, შეძერვა სოროში და სა-  
ღამომდე გარეთ არ გამოუხედავს. იჯდა მე-  
უღლის წინ გაბებღილი, ღამაჰამო შევებული  
და ამტკიცებდა:  
— კეუა დიდი საქონელია! თუ კეუა გაქვს  
არავინ მოგკლავს. წავიდეს ახლა და უშვე-  
ლოს ცისარტყელამ! ცისარტყელა! ჰიუ!



# იამზე

ნოღარ შამანამე

— სად მიიჩქარი, იამზე,  
ცქრიალა, თვალეზალმასა?  
— პაპანაქება სიცხეა,  
ცივ წყალს მივუტან პაპასა.

# პამიკო

ნახევარი წლის არც კია,  
ჩემი პატარა ძამიკო,  
აკვანში თავი ასწია,  
უნდოდა წამომდგარიყო.



# ბანაობა

ქ. შოშიაშვილი

მირბის, მირბის, გური, გელა,  
უკან მისდევთ მურიკელა.  
წყალში ჩახტნენ ბიჭები და  
შეერივნენ ტალღებს სედაღ.  
ისკუბა და უკან მიჰყვა  
პაწაწინა მურიკელა.

ჭყუმპაღობენ ბიჭუნები,  
მზე აცხუნებს, რა დარია!  
ჩაყვინთეს და... მურია ყფეს:  
— მეგობრები სად არიან?!

აგერ, აგერ, კვდავ გამოჩნდენ,  
იცინიან გური, გელა.  
— რა კარგია ბანაობა!—  
თითქოს ამბობს მურიკელა.

ნახატები ელვარდ ამოქაძისა

# უქნარა

ხალხური

იყო ერთი უქნარა, სელს ვერ გან-  
პრეინებდი და გაძდიდრებაზე კი ფიქ-  
რობდა.

ერთხელ ვური მოჰკრა, ამა და ამ  
სოფელში ცალთვალა ხალხი ცხოვრობ-  
სო და სისარულით ცას ეწია:

„აჰშენდი და ეტ არი! წაწალ, ერთ  
ცალთვალას ჩამოვიყვან, სოფელ-სოფელ  
ჩამოვატარებ და ფულს გავაკეთებო“.

ადგა და წავიდა. შევიდა თუ არა იმ  
სოფელში, ორი ცალთვალა შემოსვდა.  
ორთვალა კაცი რომ დანინსეს, დიდად  
გაუკვირდათ, კარგა ხანს უტრილაქს და  
ათვალეიურეს. შერე ერთმა შოარეს უთხრა:

— ეს რა კაი ვინმე ჩაგვივარდა  
სელთ, წავიყვანათ სოფელ-სოფელ ჩა-  
მოვატარათ და ფულს მოვაკტროვებ-  
თო,—და უქნარა წინ გაიკვდეს.

ჩაიწერა ვლადიმერ გიმიანმა  
ნახატები ვლ. აგბრაჰიმისა







694/16

მუსიკა პეპა აპარაშვილისა

*Andante*

ეს კურდღელი  
მთიდან ჩამოცანცალდა,  
შეგვეპარა ბოსტანში,  
სტაფილოსგან გაგვცალა.

შე ნაცარა კურდღელო,  
ყურცვიტა და ყურგრძელო,  
რომ ზიხარ და სადილობ,  
შენ დათესე სტაფილო?!

ნახატი თანავი სპსოდაშია  
ლეკი პახანა გოგოლაშვილისა

# სტაფილი

## ყურცვიტა

ეს კურდღელი ნაცარა,  
მთიდან ჩამოცანცალდა,  
შეგვეპარა ბოსტანში,  
სტაფილოსგან გაგვცალა.

შე ნაცარა კურდღელო,  
ყურცვიტა და ყურგრძელო,  
რომ ზიხარ და სადილობ,  
შენ დათესე სტაფილო?!

